საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-430

13/04/2021

ქ. თბილისი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის „ქალაქ სიღნაღის მულტიმოდალური ტრანსპორტისა და მობილობის (მმტმ) სტრატეგიული გეგმის“ პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი არდაქვემდებარების შესახებ

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, 2021 წლის 2 მარტს, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილ იქნა სკრინინგის განცხადება და ქალაქ სიღნაღის მულტიმოდალური ტრანსპორტისა და მობილობის (მმტმ) სტრატეგიული გეგმის პროექტი.

აღნიშნული სკრინინგის განცხადება და სტრატეგიული გეგმის პროექტი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, 2021 წლის 10 მარტს განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდსა (https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/31574) და სიღნაღის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ქალაქ სიღნაღში სატრანსპორტო ნაკადების ამჟამინდელი მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, შესაბამისად, „ქალაქ სიღნაღის მულტიმოდალური ტრანსპორტისა და მობილობის (მმტმ) სტრატეგიული გეგმის“ შემუშავების მთავარ მიზანს არსებული სატრანსპორტო ნაკადების მოწესრიგება წარმოადგენს.

საპროექტო არეალად მიჩნეულია ქალაქ სიღნაღის ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ცივგომბორის ქედის ჩრდილო კალთაზე და მოიცავს 296,5 ჰექტარ ტერიტორიას. ქალაქ სიღნაღის მულტიმოდალური ტრანსპორტისა და მობილობის სტრატეგიული გეგმის ფარგლებში იგეგმება შემდეგი საქმიანობის განხორციელება:

- საბაგიროების მოწყობა;
- საპარკინგე ადგილების მოწყობა;
- ქუჩათა ქსელის, მოედნების, სკვერების, საჯარო სივრცეების რეაბილიტაცია;
- საგზაო კვანძების რეკონსტრუქცია;
- საფეხმავლო მარშრუტების მოწყობა;
- გადასახედის მოწყობა;
- გადასასვლელი ხიდების მოწყობა.

პროექტის ფარგლებში, საბაგიროთა ქსელისთვის შერჩეულია 4 სავარაუდო საბაგირო სადგურის ლოკაცია. შემოთავაზებულია საბაგირო ხაზების ორი ალტერნატივა და განვითარების სამი ეტაპი. საბაგირო ქსელი მოიცავს 4 ძირითად ხაზს/მარშრუტს, რომლებიც სიღნაღს ბოდბის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიასთან და ქალაქ წნორთან აკავშირებენ. საბაგირო ხაზის განვითარების პირველ ეტაპზე შემოთავაზებულია სიღნაღის ცენტრის (სატრანსპორტო ჰაბი), ბოდბის მონასტრის მიმდებარედ არსებულ საეკლესიო მუზეუმთან დაკავშირება (საბაგირო ხაზის სიგრძე დაახლოებით 900 მეტრი). მეორე ეტაპისთვის გათვალისწინებულია მეორე სადგურის დაკავშირება წნორის საფეხბურთო მოედანთან, სადაც დაგეგმილია ე.წ. „Park&Ride“ ინფრასტრუქტურის მოწყობა (მარშრუტის სავარაუდო სიგრძე 2 კმ-ს შეადგენს). გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული მიმართულების ალტერნატივად, სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილია სადგური №3-ის სიღნაღის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდთან დაკავშირება. რაც შეეხება მესამე ეტაპის განხორციელების საკითხს, დაგეგმილია წნორის საფეხბურთო მოედნის დაკავშირება წნორის რკინიგზის სადგურთან (მესამე და მეოთხე სადგურებს შორის მანძილი დაახლოებით 2500 მეტრია). რკინიგზის სადგურთან ასევე შემოთავაზებულია ე.წ. „Park&Ride“ ინფრასტრუქტურის მოწყობა.

ქალაქ სიღნაღის და მის მიმდებარედ იგეგმება სხვადასხვა ტევადობის საპარკინგე ადგილის მოწყობა. „ქალაქ სიღნაღის მულტიმოდალური ტრანსპორტისა და მობილობის (მმტმ) სტრატეგიული გეგმის“ თანახმად, გადაადგილებისთვის კერძო ავტომობილზე მაღალი დამოკიდებულების, პარკირების რეგულაციების არარსებობისა და მომსახურების არასაკმარისად განაწილების გამო, კერძო სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს უწევთ არალეგალურად დაპარკინგება. პრობლემის მოგვარების მიზნით, გეგმაში განსაზღვრულია ლეგალური პარკირებისთვის განკუთვნილი წინასწარი ლოკაციები.

სკრინინგის განცხადების თანახმად, იგეგმება ქუჩების კლასიფიკაცია შეზღუდვების მიხედვით - პირველადი და მეორეული გზები. პირველად გზაზე გადაადგილება არ შეიზღუდება, ხოლო მეორეულ გზებზე ნებადართული იქნება მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის ავტოტრანსპორტით გადაადგილება. დოკუმენტის თანახმად, ქვეითებისთვის განკუთვნილ ქუჩებზე რეკომენდებულია შეიზღუდოს ყველა სახის ავტოტრანსპორტის გადაადგილება. ასევე, სკრინინგის განცხადების თანახმად, რეკომენდებულია ქალაქ სიღნაღში არსებულ ქუჩათა ქსელს, მოედნებს, სკვერებსა და საჯარო სივრცეებს ჩაუტარდეს რეაბილიტაცია.

გარდა ამისა, იგეგმება ქალაქ სიღნაღის ტერიტორიაზე არსებული საგზაო კვანძების რეკონსტრუქცია, დიდგაბარიტიანი სატრანსპორტო საშუალებისთვის (10-12 მეტრიანი ავტობუსისთვის) მოხვევის რადიუსის გაზრდის მიზნით.

ამასთან, შედგენილია საფეხმავლო (hiking) მარშრუტები და ე.წ. საკემპინგე ადგილი, საფეხმავლო მარშრუტებზე გათვალისწინებულია ორი საფეხმავლო ხიდის მოწყობა. პირველი ხიდი ბოდბის მონასტერს საეკლესიო მუზეუმთან დააკავშირებს, სადაც

განთავსებული იქნება ასევე საბაგირო სადგურები, ხოლო მეორე ხიდი საეკლესიო მუზეუმის ფერდსა და სიღნაღს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება მთათაშორისი ბარის ზონას ვაკე და გორაკ-ბორცვიანი რელიეფით და მთათაშორისი ბარის გორაკ-ბორცვებიანი რელიეფის ქვეზონას, სუსტად აღმავალი მოძრაობებით, რომელიც განვითარებულია მესამეულ ზღვიურ და კონტინენტურ მოლასებზე. აღნიშნულ ქვეზონაში განვითარებული გეოდინამიკური პროცესებიდან აღსანიშნავია დენუდაციური, მეწყრული და ღვარცოფული პროცესები, რომლის განვითარებასაც ხელს უწყობს ტერიტორიის ლითოლოგიური აგებულება. საკვლევ ტერიტორიაზე ქანები ადვილად იცვლიან თვისებებს გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, რაც განაპირობებს მათ სუსტ ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს.

დოკუმენტის თანახმად, სიღნაღის მუნიციპალიტეტში ზედაპირული წყლები ძირითადად ირიგაციისათვის გამოიყენება. მოსახლეობის წყალმომარაგება ხორციელდება მიწისქვეშა წყლებით და არსებული წყლის რესურსი საკმარისია მოსახლეობის წყალზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამასთან აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტში მოსახლეობის წყალმომარაგებისთვის წლიურად 700000 $მ^3$ წყალია საჭირო და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 85%-მდე გააჩნია ცენტრალიზებული წყალმომარაგება. ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხის მონიტორინგი, ბუნებრივ წყალსატევებში, არ ხორციელდება. შესაბამისად, არ არსებობს ინფორმაცია წყლების დაბინძურების შესახებ.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, „ქალაქ სიღნაღის მულტიმოდალური ტრანსპორტისა და მობილობის (მმტმ) სტრატეგიული გეგმა“ არ ითვალისწინებს მასშტაბური საქმიანობების განხორციელებას, შესაბამისად გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება არ იქნება მაღალი ხარისხისა და ხანგრძლივი პერიოდის.

დოკუმენტის თანახმად, გეგმით განსაზღვრული საქმიანობების განხორციელების შემთხვევაში მოსალოდნელია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევებით, ხმაურითა და ვიბრაციით, ნარჩენებით დაბინძურებით, ავარიული სიტუაციებით გამოწვეული გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. ამგვარი ზემოქმედების შესაძლო რეცეპტორებად სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ატმოსფერული ჰაერი, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, ბიოლოგიური გარემო, ნიადაგი და გრუნტი, სატრანსპორტო ნაკადები და სოციალური გარემო.

დოკუმენტში განხილულია შესაძლო რეცეპტორებზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები. კერძოდ აღნიშნულია, რომ ატმოსფერულ ჰაერში ემისიების და ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყარო სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარები იქნება, რომელთა ფუნქციონირებას შესაძლოა გარემოზე და ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედება ჰქონდეს, თუმცა აღნიშნული ზემოქმედება სკრინინგის განცხადების თანახმად, დროებითი და ლოკალური იქნება. სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ხედვების განხორციელების შემთხვევაში,

გაუმჯობესებულ სატრანსპორტო სისტემას ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე დადებითი ზეგავლენა ექნება.

რაც შეეხება ნიადაგისა და გრუნტის დაბინძურების საკითხს, სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ვინაიდან შერჩეული ლოკაციების ნაწილი წარმოდგენილია აუთვისებელ ტერიტორიაზე, ახალი საპარკინგე ადგილების, საბაგირო სადგურების, საფეხმავლო ბილიკების, გადასასვლელი ხიდებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობის პერიოდში საჭირო იქნება მიწის სამუშაოების წარმოება, რაც დაკავშირებული იქნება ნიადაგზე უარყოფითი ზემოქმედების რისკებთან. ნიადაგის და გრუნტის დაბინძურება ასევე შესაძლოა გამოიწვიოს სამშენებლო სამუშაოების პერიოდში წარმოქმნილი ნარჩენების არასწორმა მართვამ, განსაკუთრებით საყურადღებოა თხევადი სახიფათო ნარჩენები.

ასევე, სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ზედაპირული წყლის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება შესაძლოა გამოიწვიოს ახალი საპარკინგე ადგილების, საფეხმავლო ბილიკების და გადასასვლელი ხიდების მოწყობის სამუშაოებმა, რადგან შერჩეული ლოკაციები უშუალოდ კვეთს ტერიტორიაზე არსებულ ხევებს, ან მდებარეობს მდინარეთა სიახლოვეს. ამასთან, განცხადების თანახმად, არასწორად წარმართულმა სამუშაოებმა და წარმოქმნილი ნარჩენების არასათანადო მართვამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს წყლის გარემოზე.

სკრინინგის დოკუმენტის შესაბამისად, სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული პარკინგისთვის განკუთვნილი ადგილები, ასევე საბაგიროს სადგურების, სახიდე გადასასვლელების, გადმოსახედისა და საფეხმავლო ბილიკებისთვის განკუთვნილი ტერიტორიები მოიცავს უმეტესწილად აუთვისებელ ტერიტორიებს. ასევე, მოსალოდნელი იქნება ბიოლოგიურ გარემოზე როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება. პირდაპირი ზემოქმედება შესაძლოა დაკავშირებული იყოს ხე-მცენარეთა მოჭრის აუცილებლობასთან. გარდა ამისა, საქმიანობების განხორციელების ეტაპზე, მოსალოდნელია ხმაურით ფაუნის სახეობების დროებითი შეშფოთება.

„ქალაქ სიღნაღის მულტიმოდალური ტრანსპორტისა და მობილობის (მმტმ) სტრატეგიულ გეგმაში“ წარმოდგენილია სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრული ხედვების განხორციელების ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) ანალიზი. ასევე, შემუშავებულია და სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილია მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა 2021-2023 წლებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს სტიქიური განვითარების პროცესის დასტაბილურებასა და გაკონტროლებას.

წარმოდგენილი „სიღნაღის მმტმ სტრატეგიული გეგმის რუკების ალბომის” საფუძველზე დადგინდა, რომ სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელება არ იგეგმება დაცული ტერიტორიებისა და სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიების (ზურმუხტის საიტი) ფარგლებში. ამასთან, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I ან/და II დანართით გათვალისწინებული

საქმიანობების განხორციელების შემთხვევაში, დაცული უნდა იქნეს კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

აღსანიშნავია, რომ სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი არ არის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 23-ე მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული „ა.ბ“ პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია, კერძოდ, სტრატეგიული დოკუმენტის სხვა სტრატეგიულ დოკუმენტთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიმართება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ხედვების განხორციელების ეტაპზე მოსალოდნელია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უმნიშვნელო და დროებითი უარყოფითი ზემოქმედება. აღნიშნული გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელება დადებით ეფექტს იქონიებს ქალაქის სატრანსპორტო სისტემის განვითარებაზე, რაც გაზრდის ქალაქის ტურისტულ პოტენციალს და გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ასევე ქალაქ სიღნაღში ქვეითებისა და ავტომობილებით მოსიარულეთათვის შეიქმნება მოძრაობისათვის უკეთესი გარემო, რაც მოუწესრიგებელ სატრანსპორტო ნაკადების განტვირთვის წინაპირობა და გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე დადებითი ზემოქმედების საწინდარია.

საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე შენიშვნები და მოსაზრებები სამინისტროში წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, აღსანიშნავია რომ სტრატეგიული დოკუმენტი ითვალისწინებს საზოგადოების ინფორმირების კამპანიას საგზაო მოძრაობის ორგანიზების ახალი სქემის და პარკირების შესახებ, საჯარო პრეზენტაციებს, პოსტერების დამზადებას, ონლაინ მასალების ხელმისაწვდომობას, ადგილობრივ ტელევიზიაში რეკლამებსა და სხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებას.

<u>ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-5 ნაწილისა და 23-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,</u>

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის „ქალაქ სიღნაღის მულტიმოდალური ტრანსპორტისა და მობილობის (მმტმ) სტრატეგიული გეგმის“ პროექტი არ დაექვემდებაროს სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას;
2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიას;
3. ძალაში შევიდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდებზე და მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი